განკარგულება:**გ-63. 63233594**
თარიღი:**25/12/2023**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის,

`სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის~ 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თავი მე-3, მუხლი 16-ე, პუნქტი მე-2 „ტ“-ს და თავი მე-4, მუხლი 24, პუნქტი 2-ის შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლი''-ს 2024 წლის ხარჯის, მათ შორის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის 2024 წლის პროგრამა, მიზნები და ამოცანები. (დანართი N1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის 2024 წლის შემოსავლები (დანართი N2).

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის'' 2024 წლის ხარჯები (დანართი N3).

4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის'' 2024 წლის საშტატო განრიგი (დანართი N4).

5. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის'' 2024 წლის სახელფასო განაკვეთის გაანგარიშება. (დანართი N5).

დანართი N1.

ა(ა)იპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1
სახელოვნებო სკოლის პროგრამა

პრიორიტეტი მუსიკალური განათლება

კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 0502).

სახელოვნებო სკოლები (პროგრამული კოდი 050201.

პროგრამის აღწერა:

· მოზარდთა მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა.

· მოსწავლეთა მიერ სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება. ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება.

· ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების შესწავლა.

· მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნების და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბება, რომელიც პიროვნებას საშუალებას აძლევს სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დ. შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა.

(პროგრამული კოდი 05020101)

პროგრამის მიზანია:

· ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში.

· შეუქმნას მოსწავლეებს შესაბამისი პირობები პიროვნების ინდივიდუალურ-შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის.

· გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა. ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები.

ღონისძიებები:

· მოსწავლის განათლებულ, კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბება.

· მუსიკის მსმენელის, შემსრულებელ-მოყვარულის აღზრდა.

· შემოქმედებითი საქმიანობისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

· მომზადება კონკურსებისა და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლებისათვის. კონკურსების, ფესტივალების და სხვა ღონისძიებების საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები.

სამუსიკო სკოლაში ფუნქციონიებს სხვადასხვა განყოფილებები. კერძოდ: საფორტეპიანო, ვიოლინო, ჩელო, ფლეიტა, საყვირი, ვოკალი, ხალხური საკრავები, საესტრადო. სკოლაში ირიცხება 211 მოსწავლე, მათ შორის სოციალურად დაუცველი 22 მოსწავლე. მათ მუსიკალურ განათლებაზე ზრუნავენ მოტივირებული, კვალიფიციური პედაგოგები.

ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიით ფინანსდება ხელფასები და სხვა მიმდინარე ხარჯები.

რესურსი - ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდია და საკუთარი შემოსავალი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

· მოზარდთა მასიური ჩართულობა კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში.

· კონკურსის და ფესტივალების საშუალებით მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებულ მოზარდთა გამოვლენა.

· მუსიკალური მიღწევების გაუმჯობესება.

· კონკურსში მონაწილეთა და უმაღლეს სამუსიკო სასწავლებლებისათვის მომზადებულ მოზარდთა რაოდენობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

· მოსწავლისათვის მუსიკალური განათლების მიღება.

· მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბება, სოლო და კოლექტიური კონცერტების გამართვა, ფესტივალ-კონკურსებში მონაწილეობის მიღება, მუსიკის სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაციისათვის მხატვრულ-მუსიკალური ღონისძიებების მოწყობა.

· მუსიკალური ნიჭით გამორჩეულ მოზარდთა გამოვლენა და მათი პროფესიული ზრდა.

· მუსიკის პოპულარიზაციისათვის საანგარიშო კონცერტი.

· სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებზე მიღწეული წარმატებები.

დანართი N2

ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის'' 2024 წლის შემოსავლების გეგმა (სუბსიდიის ჩათვლით)

#	დასახელება	თანხა (ათასი ლარი)
1	სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	209,3
2	მშობელთა შემონატანი	15.1
	სულ	224,4

დანართი N3

ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის'' 2024 წლის ბიუჯეტის ხარჯები

(ათასი ლარი)

	ეკ.	ორგა ნიზა		სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი	2024 წლის ადგილობრივი	2024 წლის საკუთარი შემოსავლე

	კლას. კოდი	ციული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან	ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები	ბით გასაწევი ხარჯები
1		05 02 01 01	ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლა	224,4	209,3	15,1
2			მომუშავეთა რიცხოვნობა	39	39	
2	2		ხარჯები	224,4	209,3	15,1
2	2.1		შრომის ანაზღაურება	207,1	192.0	15,1
3	2.2		საქონელი და მომსახურება	17,3	17,3	0,00
2	31		არაფინანსური აქტივების ზრდა	0,00	0,00	0,00
3	31.1		ძირითადი აქტივები	0.00	0,00	0,00

დანართი N4

ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის N1 სახელოვნებო სკოლის'' 2024 წლის საშტატო განრიგი

NN#	საშტატო ერთეულის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობ რივი სარგო თვეში	თანამდებობრივი სარგო წელიწადში ბიუჯეტით	თანამდებ ო-ბრივი სარგო წელიწადში საკუთარით	სულ
1	დირექტორი	1	726	8712		8712
2	სასწავლო ნაწილი	1	655	7860		7860
3	ბუღალტერი	1	655	7860		7860
4	საქმეთამმართველი	1	440	5280		5280
5	სამეურნეო ნაწილის გამგე	1	363	4356		4356
6	ბიბლიოთეკარი	1	319	3828		3828
7	ინსტრუმენტის ამწყობი	1	291	3492		3492
8	მედდა	1	440	5280		5280
9	დამლაგებელი	3(3X233)	699	8388		8388
10	დარაჯი	2(2X233)	466	5592		5592

11	**პედაგოგები**	**26**	**12203**	**131316**	**15120**	**146436**
	სულ	**39**	**17257**	**191964**	**15120**	**207084**

დანართი N5

სახელოვნებო და სამუსიკო სკოლების პედაგოგთა განაკვეთის გაანგარიშება

N		**5 წლამდე**		**5-10 წლამდე**		**10 წლის ზემოთ**	
		განაკვეთი	**სთ. ღირებ**	**განაკვეთი**	**სთ. ღირებ**	**განაკვთი**	**სთ. ღირებ**
1	**საშუალო განათლება**	**230,68**	**12,80**	**235,62**	**13,09**	**242,85**	**13,49**
2	**სპეციალური საშუალო განათლება**	**254,47**	**14,14**	**260,91**	**14,50**	**267,34**	**15,85**
3	**ბაკალავრი**	**278,97**	**15,50**	**285,41**	**15.86**	**291,85**	**16,21**
4	**მაგისტრი**	**303,49**	**16,86**	**309,93**	**17,22**	**316,35**	**17,58**
5	**კანდიდატი დოქტორი**	**335,87**	**18,66**	**334,26**	**18,57**	**340,87**	**18,93**

მოსწავლეთა რაოდენობა - 211 (22 ბავშვი სოც. დაუცველი).

სწავლის ღირებულება - 10 ლარი.

6. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია
კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი